



## ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და დაფინანსების წესი

### პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტით სამეცნიერო-კვლევითი შეფასება წარმოდგენილია როგორც შეფასების სისტემური პროცესი, რომელიც ქმნის სანდო ინფორმაციას და დასკვნას იმის შესახებ თუ რას ნიშნავს კვლევის შედეგი, მისი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით. მოცემული დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის ეფექტურობას და ანგარიშვალდებულობას.

### მუხლი 1. კვლევის შეფასებისა და დაფინანსების წესის მიზანი.

1.1. კვლევის შეფასების დოკუმენტის მიზანია კვლევის, როგორც ფორმირებადი, ისე საბოლოო შედეგის შეფასების მექანიზმების დაწესება.

### მუხლი 2. კვლევის შეფასებისა და დაფინანსების პრინციპები

კვლევის შეფასების პრინციპები განსაზღვრავს უნივერსიტეტში ინსტიტუტური, ჯგუფური, კლასტერული და ინდივიდუალური კვლევის შეფასების მიდგომებს და პრიორიტეტებს.

კვლევის შეფასება და დაფინანსების ძირითადი პრინციპებია:

1. საჯაროობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა;
2. კვლევის შეფასების მიზნებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა;
3. ინსტიტუტური და საზოგადოებრივი ურთიერთშემოქმედებისა და განპირობებულობის პრიორიტეტულობა;
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და დანერგვა. კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება;
5. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და შესრულებული კვლევითი შედეგის ხარისხის უზრუნველყოფა;
6. საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ, ლოკალურ და გლობალურ გამოწვევებზე ორიენტირებული კვლევების განხორციელება და მისი შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობის გაზრდა;
7. კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

### მუხლი 3. მოქმედების ფარგლები

1.1. გაუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება:

- ა. სამეცნიერო კვლევით ცენტრებზე;
- ბ. კვლევის პროცესში მონაწილე აკადემიურ პერსონალზე
- გ. კვლევით პროცესში მონაწილე მოწვეულ პროფესორსა და ექსპერტზე;
- დ. უნივერსიტეტთან კვლევითი სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჩართულ სხვა პირებზე.

#### **მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების განხორციელების მიზნები.**

კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნებია:

- ა. კვლევის განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგი;
- ბ. კვლევის განხორციელების ჩამორჩენის იდენტიფიცირება და შესაბამისი ზომების მიღება;
- გ. კვლევის შეფასების შედეგების გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა;

#### **მუხლი 5. შეფასების სახეები**

5.1. კვლევის ფორმირებადი შეფასება, რომელიც გამოიყენება:

- ა. კვლევითი პროექტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე, (კვლევითი პროექტის შემუშავებისა და შემუშავების დასრულების შემდეგ) მისი ხარისხიანად განხორციელების პროცესში ჩარევის საჭიროების დასადგენად;
- ბ. კვლევითი პროექტის იმპლემენტაციაში ჩართული და პროექტის მენეჯმენტში ჩართული პირების ან სპონსორის/სპონსორების დროული ინფორმაციისა და იმ გარემოებების მიწოდება, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ქონდეთ კვლევის შედეგებზე და მის ხარისხზე.
- გ. ქმნის გარანტიებს დარგთაშორისი, რთული, მულტიკომპონენტური კვლევით პროექტებში ერთიანობის შენარჩუნებისათვის და შედეგზე ორიენტირებაში ეხმარება პროექტის იმპლემენტაციას.

5.2. კვლევის საბოლოო შედეგის შეფასება, რომელიც გამოიყენება:

- ა. კვლევის დასრულების შემდეგ, კვლევის შედეგების შეფასების და ამავე შეფასების იმპლემენტაციის გზების დასახვის მიზნით;
- ბ. კვლევის შედეგების და პროექტით დასახული მიზნების შედარების მიზნით;
- გ. კვლევის შედეგების საზოგადოებრივი საჭიროებებისა და მასთან, როგორც ინსტიტუციური, ისე პრაქტიკული კორელაციის და კვლევის შედეგების პოპულარიზაციის მიზნით.

5.3. როგორც ფორმირებადი, ასევე კვლევის საბოლოო შედეგის საბოლოო შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს კვლევის განხორციელების პროცესშიც შესაბამისი პოზიციის პირის გადაწყვეტილებით და წინასწარ დადგენილი პერიოდულობით.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველი შესაძლებელია იყოს კვლევის და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზნის მიღწევის მონიტორინგი.

#### **მუხლი 6. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები.**

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

- ა. ბიომეტრული;
- ბ. თვით-შეფასება;
- გ. საქსპერტო შეფასება;
- დ. სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა და მოგება (სარგებლიანობა);
- ბ. საკადრო შეფასება;
- გ. ფინანსური შეფასება.

6.1. ინდიკატორების კლასიფიცირება და განსაზღვრა ხდება იმის შესაბამისად, თუ რისი შეფასება არის დასახული მიზნად:

- ა. სამეცნიერო პროდუქტულობა;
- ბ. ხარისხი და სამეცნიერო ცნობადობა და გავლენა;
- გ. ინოვაციური და სოციალური სარგებლიანობა;
- დ. მდგრადობა და მასშტაბურობა;

ე. კვლევითი ინფრასტრუქტურა და სხვა.

### **მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები**

7.1. სამეცნიერო კვლევით საქმიანობის შედეგების შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებითა და დაგენილი პროცედურების შესაბამისად;

7.2. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასებისას გამოყენებული ინდიკატორები და კრიტერიუმები დეტალურად რეგულირდება: „აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობის და შედეგების შეფასების წესი“; „კეთილსინდისიერების წესი“; „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და სხვა მარეგულირებელი აქტებით.

7.3. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასების კრიტერიუმებით და ინდიკატორებით სარგებლობისას გამოიყენება ამ მუხლის 6.2. ქვეპუნქტში მითითებული მარეგულირებელი აქტები.

### **მუხლი 8. შეფასების პროცესი და მეთოდოლოგია**

8.1. სამეცნიერო კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის შეფასება ეყრდნობა ხარისხიანი მოწინავე შედეგების მიღწევისათვის საჭირო, წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას;

8.2. კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პრინციპების, მიზნების და სამიზნე ნიშნულების შესაბამისად;

8.3. სამეცნიერო აკადემიური პერსონალის სამეცნიერო შედეგების შეფასება პროცედურულად შედგება 3 თანმიმდევრული ეტაპისაგან;

8.4. სამეცნიერო აკადემიური პერსონალის შეფასების პროცედურა დეტალურად რეგულირდება „აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობის და მისი შედეგების შეფასების წესით“ .

8.5. სამეცნიერო კვლევით საქმიანობას შეფასების პროცესში სამეცნიერო საბჭო ხელმძღვანელობს მოცემული წესით, „აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და შეფასების წესი“ და სხვა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებით.

8.6. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს განიხილავს და ამტკიცებს სამეცნიერო საბჭო წელიწადში ერთხელ.

8.7. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პირველადი შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში (სკოლაში).

8.8. სამეცნიერო აკადემიური პერსონალის და სამეცნიერო საქმიანობის შედეგების შეფასების სუბიექტები, ინდიკატორები და შეფასების კონკრეტული შედეგები განისაზღვრება „აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და შეფასების წესის“ და სხვა შესაბამისი მარეგულირებელი აქტების მიხედვით.

### **მუხლი 9. შეფასების შედეგების გამოყენების ორგანიზაცია**

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების ორგანიზაცია გულისხმობს შედეგების გამოყენების მართვას.

### **მუხლი 10. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასების შიდა მოხმარების ზოგადი მოთხოვნები**

10.1 შიდა მოხმარების მიზნით სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასების საჭიროების განსაზღვრა, რაც გულისხმობს:

ა. პროფესიული და აკადემიური წარმატებულობის და ხარისხის შეფასებას;

ბ. სტუდენტებისა და პროფესორის რეკრუტირებას.

10.2. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასებისათვის მთავარი ინდიკატორების (მონაცემების) განსაზღვრა, რაც გულისხმობს:

ა. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინტენსივობის, ექსპერტიზის, ხარისხის და კომპენტენციის დონეების განსაზღვრას;

ბ. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის და მისი ხარისხის სისტემების ანალიზი, მისი სამეცნიერო პეტენციალისა და პოზიციების განსაზღვრის მიზნით;

### **მუხლი 11. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების იმპლემენტაციის მიზანი.**

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების იმპლემენტაციის მიზანებია:

ა. კვლევითი საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიას, პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებთან;

ბ. სამეცნიერო კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება;

გ. სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გამოყენებითი მნიშვნელობის გაზრდა;

დ. საცნიერო კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ე. კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

ვ. კვლევის კომერციალიზაციის ხელშეწყობა და ამ მიზნით კონტაქტების გაზრდა;

თ. აკადემიური კვლევის საქმიანობის შედეგების მნიშვნელობის და საჭიროების, მეცნიერების და კვლევის პოპულარიზაცია.

6.2. სამეცნიერო კვლევითი შედეგების შეფასება გაცნობისა და შესაბამისი რეაგირებისათვის ეგზავნება სამეცნიერო კვლევით სუბიექტებს და სამეცნიერო კვლევით ერთეულებს;

6.3. სამეცნიერო შედეგების შეფასების პროცესის და მათი შესაბამის სუბიექტებისათვის გაცნობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სამსახური.

### **მუხლი 12. კვლევის შედეგების შეფასების მართვა და გამოყენება მეთოდოლოგია.**

12.1. კვლევის შედეგების შეფასების მართვა და გამოყენება მეთოდოლოგიურად გულისხმობს:

ა. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასების საჭიროების განსაზღვრას;

ბ. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო მონაცემების განსაზღვრას;

გ. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგების სავარაუდო მომხმარებლის განსაზღვრას.

12.2. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასების პოტენციური მომხმარებელი შეიძლება იყოს:

ა. სახელმწიფო ორგანოები და უწყებები;

ბ. სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები;

გ. სასწავლო და სამეცნიერო პროფილის ორგანიზაციები;

დ. კომერციული ორგანიზაციები;

ე. ინდივიდები;

ვ. საზოგადოებრივი აზრი ზოგადად.

### **მუხლი 13. სამეცნიერო კვლევითი შედეგების შეფასების შედეგების გაცნობა.**

სამეცნიერო კვლევითი შედეგების შეფასება გაცნობისა და შესაბამისი რეაგირებისათვის ეგზავნება სამეცნიერო კვლევით სუბიექტებს და სამეცნიერო კვლევით ერთეულებს;

### **მუხლი 14. სამეცნიერო შედეგების შეფასების შედეგების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.**

სამეცნიერო შედეგების შეფასების პროცესის და მათი შესაბამის სუბიექტებისათვის გაცნობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სამსახური.

#### **მუხლი 15. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსების პრინციპები.**

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსების პრინციპებია:

- ა. უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისი საქმიანობის და ცალკეული აქტივობების დაფინანსება;
- ბ. გარე დაფინანსებლისაგან კვლევის ფარგლებში დამოუკიდებლობა;
- გ. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და პატივისცემა;
- დ. დაფინანსების წყაროს საჯარო გამჟღავნება მისი თანხმობის გარეშე;
- ე. კვლევის, მისი შედეგების ხარისხისა და სამართლიანობის, ასევე ინსტიტუციის ინტერესებიდან გამომდინარე ფინანსურ მხარდაჭერაზე უარის თქმის თავისუფლება;
- ვ. ინსტიტუციის რეპუტაციის და ავტონომიურობის დაცვა.

#### **მუხლი 16. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სახეები**

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სახეებია:

- ა. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრები;
- ბ. სამეცნიერო კვლევითი ფონდიდან გამოყოფილი სახსრები;
- გ. შიდა საგრანტო დაფინანსება;
- დ. საერთაშორისო და ეროვნული ფონდებისაგან მიღებული დაფინანსება;
- ე. კომერციული ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრები,
- ვ. შემოწირულობები.

#### **მუხლი 17. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ბიუჯეტი**

17.1. უნივერსიტეტი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად ადგენს ყოველწლიურ ბიუჯეტს;

17.2. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისათვის საბიუჯეტო სახსრების აკუმულირებას და ხარჯვას განკარგავს უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი;

17.3. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის საკითხებს საბოლოოდ წყვეტს უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის დებულებით მისთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში.

#### **მუხლი 18. შიდა საგრანტო დაფინანსება**

18.1. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა შესაძლებელია განხორციელდეს შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო დაფინანსებით, რომლის მოპოვება ხორციელდება საკონკურსო წესით.

18.2. შიდა საგრანტო კონკურსის პირობები, გრანტის მოპოვების პირობები და გასაჩივრების წესი განისაზღვრება „შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის და დაფინანსების პროცედურების შესახებ წესის შესაბამისად.